

ზოგადი ინფორმაცია მონაცემთა დამუშავების შესახებ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის საფუძველზე ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარის იუსტიციის სააღსრულებო სისტემაში

შინაარსი

1. ვინ არის სააღსრულებო ორგანოში მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი და ვის შეგიძლიათ მიმართოთ? 1
2. რა სამართლებრივ საფუძველზე და რა მიზნებით ამუშავებს სააღსრულებო ორგანო თქვენს მონაცემებს? 2
3. მონაცემთა დამუშავების რა სპეციალური ფორმები შეიძლება შეგხვდეთ სააღსრულებო ორგანოში? 2
4. არსებობს სპეციალური რეგულაციები კონფიდენციალური მონაცემებისთვის? 3
5. რამდენ ხანს ინახება თქვენი მონაცემები? 3
6. როგორია თქვენი უფლებები? 4

1. ვინ არის სააღსრულებო ორგანოში მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი და ვის შეგიძლიათ მიმართოთ?

თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე პასუხისმგებელია შესაბამისი სააღსრულებო ორგანო, რომელიც წყვეტს პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს. სააღსრულებო ორგანოს საკონტაქტო ინფორმაცია, რომელსაც გვაწვდის წინამდებარე საინფორმაციო ფურცელი, შემდეგია:

ესენის იუსტიციის სააღსრულებო დაწესებულება, კრაველშტრასე 59, 45130 ესენი

გარდა ამისა, თქვენ შეგიძლიათ ყველა იმ საკითხზე, რომელიც დაკავშირებულია ჩვენს მიერ თქვენი პირადი მონაცემების დამუშავებასთან და ამასთან დაკავშირებული თქვენი უფლებების განხორციელებასთან დაუკავშირდეთ **მონაცემთა დაცვის ოფიცერს (ოფიცრებს)**. მონაცემთა დაცვის ოფიცერს (ოფიცრებს) შეგიძლიათ დაუკავშირდეთ იმავე საკონტაქტო ინფორმაციის მეშვეობით, რითაც პასუხისმგებელ სააღსრულებო ორგანოს. იმისათვის, რომ პირადად მისწეროთ მათ, მისამართის ველში დამატებით უნდა მიუთითოთ "მონაცემთა დაცვის ოფიცრის საყურადღებოდ". გარდა ამისა, თქვენ შეგიძლიათ გააგზავნოთ ელ.ფოსტა შემდეგ მისამართზე: datenschutz@jva-essen.nrw.de.

მონაცემთა დაცვის ოფიცერი პასუხისმგებელია მხოლოდ მონაცემთა დაცვის სამართლებრივ საკითხებზე. იგი არ არის უფლებამოსილი მოგაწოდოთ შინაარსობრივი ინფორმაცია თქვენი მოთხოვნის დამუშავების შესახებ ან გაგიწიოთ იურიდიული კონსულტაცია.

2. რა სამართლებრივ საფუძველზე და რა მიზნებით ამუშავებს სააღსრულებო ორგანო თქვენს მონაცემებს?

თქვენი მონაცემები დამუშავდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამისათვის არსებობს სამართლებრივი საფუძველი ან თუ თქვენ პირდაპირ დაეთანხმეთ დამუშავებას.

თქვენი მონაცემების დამუშავების სამართლებრივ საფუძველს განაჩენის სისრულეში მოყვანის მიზნით 2016/680 (EU) დირექტივის 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით არეგულირებს ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარის იუსტიციის სააღსრულებო სისტემის პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი (ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის იუსტიციის სააღსრულებო სისტემის მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი – JVOllzDSG NRW), რომლის ნახვა შეგიძლიათ ვებგვერდზე www.recht.nrw.de. იმ დამუშავების სამართლებრივი საფუძველი, რომელიც არ ემსახურება სისხლისსამართლებრივ დევნას, განაჩენის სისრულეში მოყვანას ან საფრთხის თავიდან აცილებას, JVOllzDSG NRW-ის გარდა შესაძლებელია ასევე იყოს მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია (DS- GVO), რომელსაც ავსებს ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი და მონაცემთა დაცვის ფედერალური კანონი.

ძირითადად სააღსრულებო ორგანო ამუშავებს თქვენს პერსონალურ მონაცემებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს საჭიროა სააღსრულებო მიზნებისთვის. ეს მოიცავს, მაგალითად, მონაცემთა დამუშავებას სასაქელაღსრულებო დაწესებულებაში შესვლისას პიროვნების იდენტიფიცირების და პატიმართა ვიზიტების მომზადებისა და განხორციელების მიზნით.

თქვენი მონაცემების დამუშავება შეიძლება მოხდეს აღსრულების გარდა სხვა მიზნებისთვისაც, თუ არსებობს სამართლებრივი საფუძველი მონაცემთა შესაბამისი დამუშავებისთვის. მიზნების დასაშვები ცვლილებების კატალოგი, რომლის მიხედვითაც გარკვეულწილად ნებადართულია დამუშავება აღსრულების გარდა სხვა მიზნებისთვისაც, შეგიძლიათ იხილოთ § 12 მუხ. 2 #1 - 4 JVOllzDSG NRW.

3. მონაცემთა დამუშავების რა სპეციალური ფორმები შეიძლება შეგხვდეთ სააღსრულებო ორგანოში?

ადგილობრივი დაწესებულების პატიმრის თქვენთან შეხვედრასთან დაკავშირებით სააღსრულებო ორგანო უფლებამოსილია განახორციელოს მონაცემთა დამუშავების სპეციალური პროცედურები ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის იუსტიციის სააღსრულებო სისტემის მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის შესაბამისად. დეტალებისთვის შეგიძლიათ იხილოთ §§ 20, 22, 24, 25 და 32 JVOllzDSG NRW.

უსაფრთხოების გამოძიება

უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით, სააღსრულებო ორგანო უფლებამოსილია შეამოწმოს, არსებობს თუ არა უსაფრთხოებისთვის რელევანტური ინფორმაცია თქვენს შესახებ. უსაფრთხოებისთვის რელევანტური არის ინფორმაცია ექსტრემისტული, განსაკუთრებით ძალადობაზე ორიენტირებული შეხედულებების ან მსგავს ორგანიზაციებთან, დაჯგუფებებთან ან პირებთან კონტაქტების შესახებ. ამ შემთხვევაში, შესაბამისი სააღსრულებო ორგანო უფლებამოსილია ცალკეულ შემთხვევებში გამოითხოვოს ინფორმაცია ცენტრალური ფედერალური რეესტრის, სამართალდამცავი ორგანოებისა და კონსტიტუციური უსაფრთხოების სამსახურისგან (§ 21 JVOllzDSG NRW).

ინფორმაციის მიღებამდე თქვენ განგემარტებათ უსაფრთხოების გამოძიების მიზეზი, მისი ფარგლები და შესაძლო იურიდიული შედეგები.

სააღსრულებო ორგანო აფასებს ინფორმაციას, რომელიც მან მიიღო თქვენი პიროვნების შესახებ, ინდივიდუალური შემთხვევის საერთო შეფასების საფუძველზე და წყვეტს, მოგცემთ თუ არა თქვენ როგორც

არაინსტიტუციურ პირს შესვლის უფლებას თუ მხოლოდ შეზღუდვებით. აღნიშნული მოქმედებს შესაბამისად იმ შემთხვევაში, თუ უარს იტყვით უსაფრთხოების გამოძიებაზე.

თუ უსაფრთხოების გამოძიება, რომელიც საჭიროდ მიიჩნევა, არ არის შესაძლებელი დროულად დასრულდეს, საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულებაში შესვლა დასაშვებია ნებადართული იქნას საუკეთესო შემთხვევაში დროებით მეთვალყურეობის ქვეშ (§ 21 JVOllzDSG NRW).

პიროვნების იდენტიფიცირების პროცედურა

სააღსრულებო კანონების დებულებების გარდა, სააღსრულებო ორგანო უფლებამოსილია § 22 JVOllzDSG NRW შესაბამისად, თავისი იურიდიული ამოცანების შესასრულებლად მოახდინოს თქვენი პიროვნების იდენტიფიცირება. დაწესებულებაში თქვენი შესვლა შეიძლება იყოს დამოკიდებული იმაზე, რომ თქვენ თქვენი პიროვნების იდენტიფიცირებისათვის მიუთითოთ თქვენი გვარი, სახელი და მისამართი და დაადასტუროთ ოფიციალური დოკუმენტებით და თითების, ხელებისა და სახის ნიშნების ბიომეტრიული რეგისტრაციის უფლება მისცეთ, იმდენად, რამდენადაც ფაქტობრივი მტკიცებულებები ადასტურებს ვარაუდს, რომ ეს აუცილებელია ცალკეულ შემთხვევებში პატიმართა გაცვლის თავიდან ასაცილებლად.

ვიდეოტექნიკის გამოყენება

დაწესებულების უსაფრთხოებისა და წესრიგის შენარჩუნების მიზნით, კერძოდ, გაქცევის მცდელობების აგრეთვე დაწესებულების შენობაში საგნების გადაყრის ან ჩამოგდების თავიდან ასაცილებლად, ხდება დაწესებულების ტერიტორიის და შენობის, მათ შორის, შენობის შიგნით და დაწესებულების უშუალო მიმდებარე ტერიტორიის ვიდეოტექნიკის ან ოპტიკურ-ელექტრონული მოწყობილობების მეშვეობით მონიტორინგი (§§ 24, 25 JVOllzDSG NRW).

მონიტორინგისა და კონტროლის ღონისძიებების მონაცემების დამუშავება

სააღსრულებო ორგანო § 32 JVOllzDSG NRW-ის ნორმების შესაბამისად უფლებამოსილია დაამუშავოს თქვენი პერსონალური მონაცემები, რომლებიც შესაძლოა ცნობილი გახდეს ვიზიტების მეთვალყურეობის ან მონიტორინგის, ტელეკომუნიკაციის მონიტორინგის, კორესპონდენციის ვიზუალური შემოწმების ან მონიტორინგის ან ამანათების შიგთავსის შემოწმების დროს. მაგალითად, სააღსრულებო ორგანოს შეუძლია გამოიყენოს პატიმრების მოსმენის შემდეგ მოპოვებული ინფორმაცია პატიმრებთან ურთიერთობისათვის ან, მაგალითად, გადასცეს ის პოლიციას სისხლისსამართლებრივი დევნის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამოძიებისათვის.

4. არსებობს სპეციალური რეგულაციები კონფიდენციალური მონაცემებისთვის?

განსაკუთრებით კონფიდენციალური მონაცემები (JVOllzDSG NRW-ში მოხსენიებული როგორც „განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები“), მაგალითად, თქვენს რელიგიურ კუთვნილებასთან დაკავშირებული მონაცემები ან ბიომეტრიული მონაცემები, გროვდება და მუშავდება, ძირითადად, მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში. . ეს ნიშნავს, რომ ყოველთვის განსაკუთრებით საფუძვლიანად მოწმდება ნამდვილად სჭირდება თუ არა სააღსრულებო ორგანოს აღნიშნული განსაკუთრებული მონაცემები.

5. რამდენ ხანს ინახება თქვენი მონაცემები?

თქვენი მონაცემები შესაძლოა ჩაწერილ და შენახულ იქნას პატიმრების პირად საქმეებში, შესასვლელი კარიბჭის ჟურნალებში, ვიზიტორთა სიებში და IT-მხარდაჭერის სპეციალიზებულ პროცედურებში.

შენახვის ხანგრძლივობა განისაზღვრება §§ 42, 43 JVOllzDSG NRW-ის შესაბამისად.

ამის შემდეგ შენახული პირადი მონაცემები იშლება, თუკი მათი დამუშავება სააღსრულებო ან სხვა სამართლებრივი მიზნებისთვის აღარ არის საჭირო.

თუ შენახული პერსონალური მონაცემების წაშლა გამორიცხულია, მაგალითად იმის გამო, რომ საჭიროა მონაცემების შემდგომი დამუშავება მტკიცებულების მიზნით, შენახული პერსონალური მონაცემების დამუშავება შეიზღუდება.

თუ თქვენს შესახებ ჩატარდა უსაფრთხოების გამოძიება, ამასთან დაკავშირებული დოკუმენტები ან ელექტრონულად შენახული პერსონალური მონაცემები განადგურდება ან წაიშლება უსაფრთხოების გამოძიების დასრულებიდან ერთი წლის განმავლობაში, თუ თქვენ არ დათანხმდებით შემდგომ შენახვაზე.

6. როგორია თქვენი უფლებები?

თუ შესაბამის ინდივიდუალურ შემთხვევაში სამართლებრივი მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, თქვენ გაქვთ სხვადასხვა უფლებები. დეტალებისთვის შეგიძლიათ იხილოთ §§ 5, 37-დან 40-მდე, 42-დან 44-მდე JVoIzDSG NRW და თუკი მონაცემთა დამუშავება არ ემსახურება სისხლისსამართლებრივ დევნას, განაჩენის სისრულეში მოყვანას ან საფრთხის თავიდან აცილებას, მუხლები 15-დან 18-მდე, 20 და 21 DS- GVO.

შეტყობინების მიღების უფლება

თუ თქვენი პერსონალური მონაცემების შეგროვება სამართალდამცავი ორგანოების მიერ ხდება თქვენი ცოდნის გარეშე ან გადაეცემა იმ მიზნებისთვის, რისთვისაც ისინი არ შეგროვებულა, თქვენ გაქვთ უფლება მიიღოთ შეტყობინება იმის შესახებ, თუ რომელ მონაცემებს ეხება საქმე. შეტყობინება ხდება მონაცემთა დამუშავების მხოლოდ კიდევ იმ შემთხვევებში, რომლებიც ინფორმაციის წინამდებარე ფურცელში ჯერ არ არის ნახსენები.

ინფორმაციის მიღების უფლება

თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ ინფორმაცია თქვენი პერსონალური მონაცემების შესახებ, რომლებსაც ამუშავებს სააღსრულებო ორგანო. ინფორმაციის მიღების უფლება შეიძლება შეიზღუდოს მესამე პირების მიერ მათი პერსონალური მონაცემების დაცვის ან სხვა წინააღმდეგობრივი უფლებებით. ინფორმაციის მოთხოვნის თქვენს განცხადებაში უნდა დააკონკრეტოთ თქვენი მოთხოვნა, რათა გაგვიმარტივოთ საჭირო მონაცემების შეკრება.

ფაილების შემოწმების უფლება

თქვენ ასევე შეგიძლიათ მიიღოთ წვდომა ფაილების შემოწმებაზე, თუ ინფორმაცია არ არის საკმარისი თქვენი კანონიერი ინტერესების დასაცავად, არამედ ამისათვის უფრო მეტად აუცილებელია შემოწმება. ეს უფლებაც შეიძლება შეიზღუდოს მესამე პირების მიერ მათი პერსონალური მონაცემების დაცვის ან სხვა წინააღმდეგობრივი უფლებებით.

წაშლის ან დამუშავების შეზღუდვის უფლება

თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ თქვენი პერსონალური მონაცემების წაშლა, თუ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება არ ან აღარ არის ნებადართული. თქვენი უფლება წაშლაზე, სხვებს შორის, დამოკიდებულია იმაზე, გვჭირდება თუ არა კიდევ თქვენთან დაკავშირებული მონაცემები ჩვენი იურიდიული მოვალეობების შესასრულებლად. მე-18 მუხლის DS-GVO, § 43 JVoIzDSG NRW თანახმად არსებობს თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების შეზღუდვის უფლება.

გამოსწორების უფლება

თუ თქვენს შესახებ ინფორმაცია (ადარ არის) სწორი, თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ გამოსწორება. თუ თქვენი მონაცემები არასრულია, შეგიძლიათ მოითხოვოთ მათი შევსება.

გაპროტესტების უფლება

თქვენ გაქვთ უფლება გააპროტესტოთ თქვენთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავება ნებისმიერ დროს, თქვენი განსაკუთრებული სიტუაციიდან გამომდინარე. თქვენი მონაცემების დამუშავება გაგრძელდება მხოლოდ დამაჯერებელი მიზეზის არსებობის შემთხვევაში. დამაჯერებელი მიზეზი შეიძლება წარმოიშვას განსაკუთრებით იმ კანონებიდან, რომლებიც ემსახურება დამუშავებას სამართლებრივ პრეტენზიების აღძვრის, განხორციელების ან დაცვისათვის ან გვაიძულებს გავაგრძელოთ დამუშავება, მაგალითად, აქტების შენახვის კანონით განსაზღვრული ვადები.

მონაცემთა პორტაბელურობის უფლება

თუკი მონაცემთა დამუშავება არ ხდება საგანგებოდ საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისას ან აუცილებელია სააღსრულებო ორგანოსთვის დაკისრებული დავალების შესასრულებლად, თქვენ გაქვთ უფლება იმაზე, რომ გადმოგეცეთ თქვენთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემები, თუ მონაცემთა დამუშავება ხდება თანხმობის ან ხელშეკრულების საფუძველზე და ხორციელდება ავტომატიზებული პროცედურების მეშვეობით.

გასაჩივრების უფლება

თუ ფიქრობთ, რომ სააღსრულებო ორგანოს მიერ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება არ შეესაბამება სამართლებრივ ნორმებს, შეგიძლიათ შეიტანოთ საჩივარი მონაცემთა დაცვის კომპეტენტურ სამეთვალყურეო ორგანოში.

ყველა სააღსრულებო ორგანოსთვის პასუხისმგებელი მონაცემთა დაცვის სამეთვალყურეო ორგანო არის მონაცემთა დაცვისა და ინფორმაციის თავისუფლების სახელმწიფო კომისარი (LDI). LDI-ს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგი საკონტაქტო ინფორმაციით:

ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მონაცემთა დაცვისა და ინფორმაციის
თავისუფლების სახელმწიფო კომისარი
საფოსტო ყუთი 20 04 44
40102 დიუსელდორფი

ტელ.: 0211/38424-

0 ფაქსი:

0211/38424-10

ელ.ფოსტა: poststelle@ldi.nrw.de